

# დავით მდინარაძე თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა

ახალარჩეული დეპუტატის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ საკრებულომ დღის წესრიგით გათვალისწინებული 11 საკითხი განიხილა



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 5 ივნისის სხდომაზე ცნო ახალი დეპუტატის უფლებამოსილება და შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული დავით მდინარაძე შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

მეჯანაძის არჩევა.

სხდომაზე მიმოიხილეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების I კვარტლის ანგარიში.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნეს, 2019 ბიუჯეტის I კვარტლის შემოსულობებმა, 2018 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე, შეადგინა 4 388,2 ათასი ლარი, წლიური გეგმის 13,32 % (წლიური დაზუსტებული გეგმა 32 931,6 ათასი ლარი).

შედარებისთვის: წინა წლის I კვარტლის შემოსულობებმა, 2017 წლის ნაშთების გარეშე, შეადგინა 3581,4 ათასი ლარი, წლიური გეგმის 15,81 % (წლიური დაზუსტებული გეგმა – 22 643,2 ათასი ლარი).

შემოსავლების წლიური გეგმა, ტრანსფერის გარეშე, შესრულებულია 6,46 %-ით (გეგმა – 10 62,0 ათასი ლარი, შესრულება – 686,7 ათასი ლარი), მათ შორის წინა წლის ანალოგიური გეგმა შესრულდა 13,16

%-ით (გეგმა – 9065,0 ათასი ლარი, შესრულება – 1192,9 ათასი ლარი).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გადასახდელის გეგმა, დაზუსტების შემდეგ, შეადგენს 40341,5 ათას ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა I კვარტლის მდგომარეობით შეადგინა 6919,9 ათასი ლარი, წლიური გეგმის 17,2 % წინა წელს I კვარტლის გეგმა შესრულდა 15,28 %-ით,

როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელის გეგმები სრულყოფილად შეგიძლიათ იხილოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-ვერდზე.

სხდომაზე დაამტკიცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრებაში არსებული (მოძრავი ქონების) საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა.

ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზების მიზნით მიზანშეწონილად მიიჩნიეს

ამორტიზებული ქონების – „კამაზის“ მარკის 5 სატვირთო ავტომობილის პრივატიზება.

განიხილეს საკითხი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ოზურგეთში, ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე მდებარე 380 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

როგორც ცნობილია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით მიმართა სსიპ – უირდიული დახმარების სამსახურმა, რომელიც ოზურგეთში გეგმავს ბიურის გახსნას და შესაბამისად ოფისის ამწეებას მოთხოვნილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 380 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო





# კავკასიური

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 23 (10316) 10 ივნისი, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

## გურიის მსხვილფეხა პირუტყვის ვირუსული დაავადება ნოდულარული დერმატიტი გაგრძელდა

**მარი კომკოვი**

გასულ ოთხშაბათს გაზეთ „ალიონის“ რედაქციას ოზურგეთის რამდენიმე სოფლის მცხოვრებლებმა მსხვილფეხა პირუტყვის დაავადების შესახებ აცნობეს. სოფელ ნატანებში გვიტხრეს, რომ ბოლო დღეების განმავლობაში რამდენიმე ძროხა ერთდროულად დაიღუპა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული მართვის დეპარტამენტის გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსმა, ნინო შეწირულმა დაგვიანდასტურა, რომ საქონლის დავადების ფაქტს რამდენიმე სოფელში მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ნატანებში პირუტყვის სიკვდილიანობის

შესახებ მათთან ინფორმაცია არ შესულა.

**ნინო შეწირული:** – შუა მაისიდან იყო მომართვები ცხემლისხიდიდან, ვაკეჯვრიდან, მაკანეთიდან. ვეტერინარების დაკვირვების შედეგად, დადგინდა, რომ რამდენიმე ათეული სული საქონელი იყო დაავადებული. ნოდულარული დერმატიტი ექვემდებარება ანტიბიოტიკოთერაპიას, მაგრამ მკურნალობა არ უნდა იყოს დაგვიანებული. დაავადება გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ჩვენს მეზობლადაც. დაავადება პირველად ლანჩხ-



## რა ხდება სუფსა-ნატანების ხეობებში და რა ეკოლოგიური პრობლემები ელოდება რეგიონს

**ფილის ბარათის პროვინულ სააგენტოს 2018-2019 წლებში გურიის რეგიონში ინერტული მასალის მოპოვების გამო გარემოზე ზემოქმედების შედეგების სამსახურბო დასკვნა არ გააჩნია**

**ალიონი.** რეგიონის მდინარეთა აუზებში ქვიშა-ხრების მოპოვება შესაბამისი წესების დარღვევით რომ ხდება, ამზე ბევრი დაიწერა ადგილობრივ პრესაში. რამდენიმე სოფელში ადგილობრივი მოსახლეობის საპროტესტო აქციები გაიმართა, თუმცა ვერ-ჯერობით მხოლოდ მდინარე აჭისწყლის ხეობაში შეწყდა ქვიშა-ხრების მოპოვება.

ამ თემაზე ოზურგეთში ომბუდსმენის სტუპრობისასაც იყო საუბარი.

–მდინარეების ხეობები ნადგურდება, რადგან არანაირი ეკოლოგია არ ექცევა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინერტული მასალის ამოღება და შემდეგ ტრანსპორტირება. სამხრეთ მდგომარეობაში საეკოლოგიური გზები და ამის მიმართ სახელმწიფო ვალდებულება აღნიშნა თავის გამოცხადებაში საქართველოს ასალგაზრდა ორისტა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელმა **თამაზ ტრაპაიძემ**.

–ლიხურში, აჭისწყლის ხეობაში რომ შევიდა ექსკავატორები, მოსახლეობამ უკვე იცოდა, რა ხდებოდა გურიის მდინარეების ხეობებში და ამიტომ დადგა მტკიცედ და ხრების უთავბოლო მოპოვება შეჩერდა. ცალკე თუ მას ლიცენზიების მოპოვების საკითხი, თუ როგორ ხდება და შემდეგ როგორ გამოიყენება, ამის შესახებ მოსახლეობას ინფორმაცია არ აქვს. იფებენ მას შემდეგ, როცა მის



სახლთან ახლოს დადგება ტრაქტორი და იწყებს მუშაობას.

ნებართვა რომ გაცა ინერტული მასალის მოპოვებაზე, ამის თაობაზე მოსახლეობა ინფორმირებული და პროცესებში ჩართული უნდა იყოს –ეს ყველაზე საუკეთესო მონიტორინგია –აღნიშნა ტრაპაიძემ.

კარიერების თემაზე იმსჯელეს სოფელ ლიხურშიც.

–ჩვენ არ ვართ ქვიშა-ხრების მოპოვების წინააღმდეგი, მაგრამ ვითხოვთ იმ კატასტროფული ქვების აღკვეთას, რაც ლიცენზიების კანონიერად თუ უკანონოდ გაცემის ახლავს.

ნატანის ამოღება დასავსებით ნორმით უნდა ხდებოდეს და ამაზე არაა არაფერი. ოქტომბრის მდინარეში და ვულკანი „აპ-პიონს“ და თუნდაც ლაიქ-მის მშპ-სა. ე.წ. „**შპსი სამხაროს**“ **წარმოებადგენილი განაგებან „ზონის“** ნაღვურღება ხეობებში, სოფლებში შრება ჭაბი, პიტიარღება მ-ფშირული პროცესებში, გვი-ახლოვდება ეკოლოგიური პატახტრონა.

ჩვენ შევიძუშვეთ ელექტრონული ჰეტეცა კარიერების თემაზე, რომ საკრებულოს ე-

უამდგომლა შესაბამისი სამინისტროს წინაშე.

ის, რაც ხდება გურიის მდინარეებში, ეს არის კრიმინალი, ლიცენზიებზე ადგილობრივი თვითმმართველობისაგან 2015-2017 წლებში გაცემული თანხმობები. მართლაც „აკაკასუს“ ვლორჯიან ცენტრს“ 150 ათასი კუბური მეტრის გატანაზე ჰქონდა ლიცენზია. ეს არ არის ქვიშა-ხრების მოპოვება კეთილი მიზნისათვის. ჩვენს სახელმწიფოს ვლორჯიანითან ხომ აქვს ხელ-შეკრულება, სადაც მითითებულია, რომ მოს-





### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
  - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
  - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
  - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
  - შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
  - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
  - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
  - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
  - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:**  
**ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.**

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
**რედაქტორი**  
**ნუგზარ ასათიანი**  
**nugzarasatiani@rambler.ru**  
**558 499100**  
**საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:**  
**თემურ მარშანიშვილი**  
**tem52@mail.ru**  
**599 373515**  
**კომპიუტერული უზრუნველყოფა**  
**გიორგი გოგოლაძე**  
**gia\_77@mail.ru**  
**551 576060**  
**რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3**  
**ტელ: 558 499 100** გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
**გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“**  
**მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77**

**დაინყეთ ყოველი ოჩმაბათი აციონზე**  
**«ალიონი»**

## გურიანში მსხვილფეხა პირუტყვის პირუსული დაავადება ნოდულარული დერმატიტი ბავრცელდა

სუთის მუნიციპალიტეტში აღმოჩნდა, მასობრივად იყო დაინფიცირებული პირუტყვი. უკვე ორი წელია, ტარდება პროფილაქტიკური ვაქცინაცია, მაგრამ იყვნენ სოფლები, რომლებიც ვერ ხელახლდნენ ფაქტს, ვერ საკუთარ თავზე არ ჰქონდათ გამოცდილი. მივიღოთ ასაკურად და სოფელი გვიმგება უკან, არ არის ჩვენთან ეს დაავადება. დღეს ფაქტი უკვე სხვაა. რეალური საფრთხე რომ დაინახეს, უკვე თვითონ ითხოვენ ვაქცინაციას. სადაც შარშან ვაქცინაციაზე უარი განაცხადეს, ზუსტად იმ სოფლებში დაფიქსირდა წელს ავადობა. 18 შემთხვევადან, რომელიც ოზურგეთში დაფიქსირდა, აბსოლუტურად ყველა იყო არავაქცინირებული. ვაქცინის გაკეთება ნიშნავს იმუნიტეტს. ვეტერინარია უშეგებს 1-2 პროცენტს, რომ შეიძლება ვაქცინირებულსაც დაემართოს დაავადება, თუმცა იქ სიკვდილიანობა არ არის და ადვილად ექვემდებარება მკურნალობას.

ყველა ვაქცინას, როგორც ცხოველებში, ასევე ადამიანებში აქვს გვერდითი ეფექტი და დაცვის და მოხმარების პირობები. ამ კონკრეტული ვაქცინის შემთხვევაში ორი კვირის განმავლობაში არ უნდა მივიღოთ რძის პროდუქტები და, რასაკვირველია, არ უნდა მოხდეს საქონლის დაკვლა და ხორცის მიროთმევა. უკვე დაავადებულის განკურნების შემდეგ, როცა საქონელს ყველა

სიმპტომი გაუქრება, შეიძლება რძის პროდუქტების მოხმარება. რაც შეეხება სიმპტომებს, დაავადებული ცხოველი ცუდი შესახედა და შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს პრობლემა. პირველი გამოჩენილი ვიწრო კისრის ქვემოთ, შემდეგ უკვე მოეწინება მთელ ტანზე.

მოუწოდებ მოსახლეობას, დაავადებაზე ექვსის გაჩენის შემთხვევაში მოგმართონ ჩვენ, ან კერძო ვეტექსის. იმ სოფლებში, სადაც დაავადება ფიქსირდება, შევიდეთ და იმავე დღესვე იძულებითი ვაქცინაციით, ანუ ვატარებთ არაფეკტორ ვაქცინაციას.

ცნობისთვის, ნოდულარული (კვანძოვანი) დერმატიტი არის მსხვილფეხა პირუტყვის ვირუსული დაავადება. იგი ცნობილია, როგორც ძნელად აღმოსავლური დაავადება ვაქცინის გარეშე იგი შეიძლება ფაქტურად დასრულდეს. დაავადება ვრცელდება მწერის ნაკბენით და ასასათებს კვანძოვანი გამოჩენილი კანზე. დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში ტარდება ძლიერი ანტიბიოტიკური თერაპია.

**P.S.** მომდევნო დღეს ნინი შეიწირულა გვანაბა, რომ ნატანებში დამარხული დახვდათ გარდაცვლილი პირუტყვი და ფაქტს ვერ დადასტურებდნენ, ხოლო დანარჩენ სოფლებში არავიწერი ვაქცინაცია მიმდინარეობს.

## ბათუმელმა შეიმუშავა ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან საპროტესტო აქცია გამართოს



გაზეთი „ალიონი“ 29 მაისს, გაზეთის ფისპოტეკურზე წერდა ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმ ბენა ჭვლიძის მიერ შიმშილობის აქციის დაწყების შესახებ.

ბენიამინ ჭვლიძემ ბიძინა ივანიშვილის შეკვეთილის რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიაზე კარები გამალა და პროტესტის უკიდურეს ზომას მიმართა. შიმშილობის მეექვსე დღეს მან და მისმა მხარდამჭერებმა აქცია გამართეს. როგორც ექიმმა აცხადებს, მისი მიზანი ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს გადარჩენაა, რის გამოც ისინი პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილთან ითხოვენ შეხვედრას.

„რესპუბლიკური საავადმყოფოს ტექნიკით აღჭურვისათვის ბიუჯეტში ფულს ვიოტყად არ დებენ. მის ხელში ჩაგდებას დიდი ხანია ცდილობს კორუპცია „ეექსი“, რომელსაც ნაციონალური ფესვები აქვს. ამის თავი და თავი არ არის, რომ ქვეყანაში მონოპოლიების და ოლიგოპოლიების მმართველობა. ამჯერად ჩვენი პროტესტის გამო შეჩერდნენ. ახალი გეგმა შეადგინეს, ტექნიკის ფულს არ ჩაღებენ და დიდი ალბათობით, ერთი წლის მერე იტყვიან, საავადმყოფო უკვე

ამორტიზებულია და აუქციონზე გაიტანენ. ეს ერთადერთი სახელმწიფო საავადმყოფოა რეგიონში, რომელიც თუ ჩაიღებს ხელში, იმ 2-3 საავადმყოფოსაც მიაღებდნენ, რომელიც ვერ კიდევა დარჩენილი სახელმწიფოში. მოვიხილოთ, ბიუჯეტში სასაწარფოდ გამოიყოს ტექნიკის ფული და მიხედონ საავადმყოფოს“ - აცხადებს ჭვლიძე.

ბენიამინ ჭვლიძეს მხარს ლეიბორისტული პარტია უჭერს. ლეიბორისტები აქციაზეც მრავლად იყვნენ.

„ჩვენს აქტიურობას შედეგი უკვე აქვს. ბატონი ბენიამინის და ლეიბორისტული პარტიის აქტიურობის შემდეგ ვანდაცვის მინისტრმა დავით სერგიენკომ განაცხადა, არ ყოფილა დაგეგმილი რესპუბლიკური საავადმყოფოს გასხვისება. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ვერ ყველა რუსურსი არ ამოვიწერავს, არსებობს მსოფლიო ვანდაცვის ორგანიზაციები, რომლებსაც შეიძლება მიმართვა“ - განაცხადა ლეიბორისტული პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის ლიდერმა დავით მამალაძემ.

ბენიამინ ჭვლიძე ამბობს, რომ გაჩერებას არ აპირებს. და შესაძლოა რომელიმე პარტიაში გაწევრიანებაზე ან ალიანსზე იფიქროს.

**მარი კოპოიძე**

## დავით პლინარაძე თავისი მოვალეობის შესრულებას შეუღბა

მიწის ნაკვეთის უსასყიდლო აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემა. საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული სამსახური, ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით, სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველ პირებს, არასრულწლოვნებს და კანონით გათვალისწინებულ სხვა პირების მომსახურებას იურიდიული კონსულტაციებითა და წარმომადგენლობით.

შენებლობის საერთო ღირებულების 300 ათასი ლარიდან 200 ათასი ლარი მუნიციპალიტეტმა უნდა გაიღოს თანადაფინანსების სახით. მუნიციპალიტეტის საკრებულო ბიუროს მშენებლობის იდეას იწონებს, თუმცა, საამისოდ ალტერნატიულ ფართს სთავაზობს იურიდიული დახმარების სამსახურს.

სხდომაზე მიიღეს დადგენილებები „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის შესახებ“, „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტ-

კიცების შესახებ“, „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტებისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოებების დაწყების თაობაზე.

მიიღეს განკარგულებაები დვაბ-ზუს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის „განთიადის“ სახელის მინიჭებისა და ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის „მიხეილ ჭანუყვაძის“ სახელი მინიჭების შესახებ.

ასევე მიიღეს განკარგულება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“.

## გურია სასკოლო-სპორტული ოლიმპიადის ფინალურ თამაშებს უმასპინძლებს

გურია მასობრივ სპორტულ ღონისძიებას - სასკოლო სპორტული ოლიმპიადის 2019 წლის ფინალურ თამაშებს უმასპინძლებს. აღნიშნული ღონისძიება ოზურგეთში 23 - 28 ივნისს გაიმართება.

ამ საკითხთან დაკავშირებით გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე სპორტული ოლიმპიადის ფინალური თამაშების ჩატარებასთან დაკავშირებით სპორტიზაციო საკითხები განიხილეს.

შეხვედრას დაესწრნენ რწმუნებულის მოადგილე ვია ებრალიძე, ოლიმპიადის ორგანიზაციული უზრუნველყოფის კოორდინატორი მეგი გიგაური, დასავლეთ საქართველოს რეგიონებთან ურთიერთობის კოორდინატორი ნანა ცინდელიანი, ოლიმპიადის ორგანიზაციული უზრუნველყოფის კოორდინატორი გოჩა



გვეენავა, ოზურგეთის მერის მოადგილე ირაკლი სირაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის 2019-ის ზონალურ თამაშებში შეჯიბრებების შედეგად ფინალისტი გუნდები სპორტის შვიდ სახეობაში გამოვლინდა: ბადმინტონი, ფრენბურთი, გენზბენი, მაგდის ჩოგბურთი, ხელბურთი, მინი ფეხბურთი და 3X3 კალათბურთი.

## სამოქალაქო განათლების წლის საუკეთესო კვლევაში სხვადასხვა ნომინაციაში

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის მასშტაბურ ყოველწლიურ ღონისძიებაში მონაწილეობა 267-მა პედაგოგმა მიიღო. გამოვლინდნენ სამოქალაქო განათლების საუკეთესო მასწავლებლები სხვადასხვა ნომინაციაში. ჯილდო საქართველოს მასშტაბით სულ 35 პედაგოგს შეხვდა. მათ შორის იყო წლის საუკეთესო პედაგოგის, წლის წარმატებული პედაგოგის, სასკოლო სამოქალაქო კლუბების საუკეთესო მეთრვის ნომინაციები. პედაგოგების ნაწილს კი სპეციალური სერტიფიკატები გადაეცათ სამოქალაქო

განათლების კუთხით გაწეული საქმიანობისათვის

ნომინაციაში სამოქალაქო განათლების საუკეთესო მეთრვე გამარჯვა **ნინო საეთასმა**, წყალწმინდის საჯარო სკოლის მასწავლებელმა, ხოლო ნომინაციაში პროექტული სწავლების ხელშეწყობისათვის - **თამარ ქათამიძემ**, ბაილეთის საჯარო სკოლის მასწავლებელმა.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ეროვნული კონფერენცია 2012 წლიდან იმართება და წლეულს ის მერვედ ჩატარდა.



# რა ხდება სუფსა-ნატანების ხეობაში და რა ეკოლოგიური პრობლემები ელოდება რეგიონს



ხეობა ყოველმხრივ ინფორმირებული უნდა იყოს?! დარღვეულია ამ მოსახლეობის უფლებები. ჩვენი მოთხოვნაა, სანამ სერიოზული დასკვნა არ დაიდება, რომ საფრთხე არ არის, არ ამოქმედდეს არც ერთი ლიცენზია. ამასთანავე ქვიშა-ხრების მოპოვებისას მოხდეს კონტროლი. თუ ასე არ მოხდება, მოსახლეობა სერიოზულ საპროტესტო აქციებს დაიწყებს“ — თქვა ლისაურის საჯარო სკოლის პედაგოგმა, მოძრაობა „გადავარჩინოთ გურიის მდინარეები“ ერთ-ერთმა აქტივისტმა ირმა გორდელაძემ.

ომბუდსმენ ნინო ლომჯარიას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ლევან მგელაძე ესაუბრა: — ვმძრულად დაფაქვს ეს სოფელი, პროცესი დროებით მოგვარდა, მაგრამ დარჩა ლიცენზიები. ფიალის პროცესული საკანონმდებლო ჩაბმებილი ორგანიზაციაა. რა უნდა ვილაპარაკოთ, როცა მშენებლები აშენებენ აბანოებს. გროუპმა უნდა დაინახოს ტერიტორია უნდა წაიღოს, ამ მდინარის კალაპოტს რა მოუვა, ან გზასაფხვლი ხედი დაზიანებულია. ლიხენ-ზებების გაცემაზე მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს.“

როგორც სოფელ ლისაურში იტყვება, უპირველესი გურიის მდინარეების გადარეგნვაა, რომლის წინ არცერთი პრობლემა არ დგას, რომლის ირგვლივ სოფელი გამართიანებულია და ეკოლოგიური პრობლემა სამომავლოდ ორგანიზაციების, ისე სხვადასხვა დაგეგმვის მტკიცე თანადგომას.

ლისაურელმა სახალხო დამცველისაგან გვერდში დგომის პირობა მიიღეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ თავმჯდომარე ლევან მგელაძემ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახლებში არსებულ ქვიშა-ხრების მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლის მიზნით, დამოუკიდებელი სამუშაო ჯგუფის შექმნა ითხოვა, რასაც ხმაური და შექმდე დებატები მოჰყვა.

ლევან მგელაძეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვიორგი ლურჯუაშვილმა უპასუხა, რომ ასეთი სამუშაო ჯგუფის შექმნის უფლება საკრებულოს არ აქვს და მათ კომპეტენციაში არ შედის, რომ საკრებულოში მუშაობს კომისიები და საკრებულომ წაიღოს ეროვნულ სააგენტოში გაგზავნა ამ პრობლემის შესახებ წერილი, რომლის პასუხიც მიიღეს.

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ დავით ღარიას ბატონო დავით, თქვენ 2019 წლის 26 მარტის №116 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება მდინარე აჭისწყლის ხეობაში ქვიშა-ხრების მოპოვების აპრობაციის საკითხს, გაცნობავთ შემდეგს: როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ-ფიალის პროცესული საკანონმდებლო ორგანიზაციის მიერ, არაპრობაციის განხორციელება ადგილობრივი მნიშვნელობის საჯარო მოვლად დათვალიერებულა, ასევე რეგულაციული დოკუმენტიდან სასარგებლო ფიცილის მოპოვების ლიცენზიების პირობების შესრულების გეგმის განხორციელების შესახებ და სალიცენზიო პირობების დარღვევის ფაქტების გამოვლენისას კანონ-**

## გდამლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

ზოგადად, მდინარეების კალაპოტებში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრების) ყველა ლიცენზია გაცემულა კარბ აკუმულაციურ უბნებზე, რაც დაფიქსირებულია ლიცენზიების გაცემაზე შედგენილ გეოსაინფორმაციო პაკეტში. საქართველოში მოქმედი საბით სამხარობის წესების და ნორმების დაცვით მათი ამოღება და კალაპოტის გასწორებაზე ნელს უწყობს მდინარეების ჰიდროდინამიკური სიტუაციის გაუმჯობესებას, კალაპოტის გამტარუნარიანობის გაზრდას და პრობლემების მინიმუმადე შემცირებას. ანუ, როგ შემოხვედრება, კარბი აკუმულაციური უბნის არსებობისას აუცილებელა ინერტული მასალის ამოღება, რათა თავიდან იქნას აცილებული საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-განვითარება (დეგრაციული და ეროზიული მოვლენები), რომელიც საფრთხეს შეუქმნის ადგილობრივი მოსახლეობის საკარბმადო ნაკვეთებს და მიწის სავარგულს.

ასევე გაცნობებთ, რომ ყველა ცალკეული სალიცენზიო ობიექტი შეთანხმდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერისთან და შესაბამისდ კენჭით თავიანთი პოზიციის დეფიქსირების შესახებ.

პატივისცემით, სსიპ-ფიალის ეროვნული სააგენტოს უფროსი მია ზაფარიანი (№22/3652, 28 მაისი, 2019 წ.)

ჩვენ ვერ შევადგებით სეციალისტებს თეორიულ ნაზრედში, მაგრამ რეგიონის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მდინარე სუფსის, ნატანების, ბუფის ხეობებში უკვე ათეულობით ჰექტარი მიწის ნაკვეთები და სავარგულები წართუა ადგილობრივ მოსახლეობას მდინარეებში ქვიშა-ხრების მოპოვებული კომპანიების გაქტიურებული საქმიანობის შედეგად.

საინტერესოა საქართველოს მთავრობის 2013 წლის №445 დადგენილების გაცნობა „საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

აღნიშნული დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად მცირე მდინარე (75 კმ-ზე ნაკლები სიგრძის) წყალდაცვითი ზონა (ზონა) ითვლება მდინარის მიმდებარე ტერიტორია, სადაც სეციალური რეჟიმი წყლის რესურსის დასაცავად დაბინძურების, დანაგვიანების, მოლაშვრისა და დამუტისაგან. (მუხლი 1.3).

მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზონის (ზონის) სიგრძე ათეულებად მდინარის ორივე მხარე მტერებში მოცემული წესით:

- ა) 25 კმ-ზე სიგრძის მდინარეებისათვის -10 მეტრი;
- ბ) 50 კმ-ზე სიგრძის მდინარეებისათვის -20 მეტრი;
- გ) 75 კმ-ზე სიგრძის მდინარეებისათვის -30 მეტრი;

75 კილომეტრზე მეტი მდინარეების წყალდაცვითი ზონები მტერებს 30-დან 50-ზე მეტრის ფარგლებში.

## მუხლი 2. მცირე მდინარეების ნაპირებზე წყალდაცვითი ზონის (ზონის) ფარგლებში აკრძალულია:

ზ) ინფრატული მასალისა და სხვა ფიალისეული მოპოვება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

გადვხვდით რეგიონის ამ მდინარეების სიგრძეს, სადაც ქვიშა-ხრების მოპოვებზე ლიცენზიების გაცემული:

- მე. აჭისწყალი -21 კმ; მე. ბუფი -32,5 კმ; მე. ბაზეისწყალი -42 კმ; მე. ნატანი -60 კმ; მე. სუფსა -108 კმ.

საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ თავმჯდომარე ლევან მგელაძემ გასულ ოთხშაბათს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ბოლოს საკრებულოს ხელმძღვანელებს და დეპუტატებს მიმართა:

— ჩვენ ფრაქციამ წერილით მიმართა საკრებულოს ქვიშა-ხრების მოპოვებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ამ სიტუაციასთან დაკავშირებით, რაც მდინარეების ხეობებში ხდება, რაც მოსახლეობას პრობლემებს უქმნის. უნდა მოვეწვად დამოუკიდებელი ექსპერტები, ამ საქმის მცოდნეები, გარემოს დამცველები და უნდა შევხვედრება ის სიტუაცია, რაც ხდება მუნიციპალიტეტში. აქ უნდა ჩართოს აუცილებლად სამართალ-დაცვები, გარემოს დამცველები, სავადასახლო სამსახურები, რომ ეს პრობლემა იქნებ მოგვარდეს.

ამ მართო პრობლემაზე არაა საუბარი, ნატანის რაოდენობის ათობლაზე, რამდენი გადის ინფრატული მასალა ტერიტორიდან, რა ზიანი მიადება გუნებას და გარემოს, რა ეკოლოგიური საფრთხე შეუქმნა ჩვენს რეგიონს და ა.შ. ჩვენი ფრაქციის დიდი სურვილია იყო, შევამოწმებ შესაბამისი კომისია, აგვარამ ბიუროს სსიპ-ფიალის თანამდებლობის მოკავშირე გიორგი ლურჯუაშვილი და სასაბუთო, რომ საკრებულოს მომავალ-ტემისში არ შედის ქვიშა-ხრებისა და კანონმდებლობის შესახებ.

ლა. და ბიუროს გადაწყვიტა, რომ ეს საკითხი გადასულიყო შესაბამისი კომისიაში განსახილველად. იმედი მაქვს დეპუტატების აქტიურობის, განსაკუთრებით იმ ტერიტორიული ერთეულების მაქტიურობის, სადაც ეს პრობლემა არსებობს. ასევე, ამ პროცესში სამოქალაქო სექტორი — არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართვებიან.

ყველა კარგად ვიცით, 8 გარემოს-დამცველი სამართალზე მოქმედი. იმედი, საკრებულო შემთხვევითი პრობლემებზე გამახვილებს ყურადღებას და მოსალოდნელ საფრთხეს ამოიღებს ჩვენს რეგიონს — ადინა ლევან მგელაძემ.

წიაღის ეროვნულ სააგენტოს წერილით სამოქალაქო მოძრაობა „გადავარჩინოთ გურიის მდინარეები“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მიმართა, რაზედაც სააგენტომ (№22/275) 6 ივნისს გასცა პასუხი:

„გაცნობავთ, რომ ფიალის პროცესული საკანონმდებლო ორგანიზაციის მოპოვების ლიცენზიის გაცემაზე, ვიხუა-ლური შუამავებით და გეოლოგიური ფორმის მასალის მოპოვების უზრუნველყოფის მიზნით, სალიცენზიო ფართობს არსებული რისკების შემთხვევაში, აღნიშნული დოკუმენტით ხდება ობიექტის გეოლოგიური და მათთან დაკავშირებული პრობლემების განხილვის მიზნით, სალიცენზიო ფართობის დასახილველად, რამდენი გადის ინფრატული მასალა ტერიტორიდან, რა ზიანი მიადება გუნებას და გარემოს, რა ეკოლოგიური საფრთხე შეუქმნა ჩვენს რეგიონს და ა.შ. ჩვენი ფრაქციის დიდი სურვილია იყო, შევამოწმებ შესაბამისი კომისია, აგვარამ ბიუროს სსიპ-ფიალის თანამდებლობის მოკავშირე გიორგი ლურჯუაშვილი და სასაბუთო, რომ საკრებულოს მომავალ-ტემისში არ შედის ქვიშა-ხრებისა და კანონმდებლობის შესახებ.“

სოლო რაც შეხება თქვენს მოთხოვნას —2018-2019 წელს ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მოგვარების საშუალებით ინფრატული მასალის (ქვიშა-ხრების) მოპოვების გამო გუნებაზე გარემოს ზემოქმედების შედეგების სამსახურით დასახილველად, გაცნობავთ, რომ ასეთი სახის დასახილველად სააგენტოს არ გააჩნია.“

# დაბა ურეკში ბულვარის რეაბილიტაცია დაიწყო კონკურსის გამარჯვებული გამოვლინდა



მუნიციპალური განვითარების ფონდმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში ბულვარის და მისი მიმდებარე ცენტრალური ქუჩების რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტი საქართველოს მთავ-

რობის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება დაახლოებით 5 მილიონი ლარია.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ურეკის ბულვარის სრული რეაბილიტა-

ცია, რაც ითვალისწინებს გარე განათებას, ველო-ბილიკების მოწყობას, საპირფარეშობის მშენებლობას, მცირე მოედნების და სივრცეების მოწყობას და სეზონური კაფეებისთვის და კომერციული ობიექტებისთვის. ასევე დაგეგმილია ბულვარის პარალელური ქუჩებზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა და გარე განათების დამონტაჟება. ბულვარი სრულად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

დაბა ურეკში ბულვარის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც თავის მხრივ გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობას.

5 ივნისს, გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის შურაბ ნასარაიას და რეგიონის მუნიციპალიტეტების მერების ერთობლივი ინიციატივით გამოცხადებული წამახალისებელი ფოტოკონკურსის გამარჯვებული გამოვლინდა. კონკურსის მიზანი გურიის ტურისტული ადგილების, ისტორიულ-კულტურული ძეგლებისა და სხვა ღირსშესანიშნაობების პოპულარიზაცია გახლდათ. იგი სკოლის მოსწავლეებისთვის იყო გამოცხადებული.

კონკურსში გამარჯვებისთვის საჭირო იყო მონაწილეებს გადავლით შესაბამისი თემატიკის ფოტო, გამოეცხადებინათ სოციალურ ქსელზე facebook-ზე, გავერცხლებინათ და დაველოდებინათ რაც შეიძლება მეტი მოწონება. ატვირთული ფოტო უნდა ყოფილიყო საჯარო და იდენტიფიცირებისთვის გამოეცხადებინათ შემდეგი სამი მონიშნა: ეს გურიაა, ფოტოს ადგილმდებარეობა და სკოლის დასახელება. კონკურსის გამარჯვებულს — ლა-



ნწუთის მუნიციპალიტეტის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეს ქტა მგელაძის ორგანიზაციისგან გადაეცემს სიმბოლური პრიზი. ყველაზე აქტიური მონაწილეები დაჯილდოვდებიან ერთდღიანი შემეცნებითი სასაათის ექსკურსიით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში; ასევე გამარჯვებული მოსწავლის კლასისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ექსკურსიის მოწყობას ამავე მუნიციპალიტეტში.



# პროექტში ჩართული ქალები მათივე უფლებებისთვის, უსაფრთხო, სუფთა და ჯანმრთელ გარემოში მშენებლობა და გენდერული ქედებისთვის



„გურიის განვითარების კავშირი“ გურიის მასშტაბით ახორციელებს პროექტს - „ქალთა გაძლიერება შინამეურნეობაში ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებზე“ რომელიც მიმდინარეობს ორგანიზაცია „ქალთა ფონდი საქართველოში“-მეორე გამოცხადებული საერთაშორისო კონკურსის ფარგლებში „ქალთა უფლებები და გარემოს-დაცვითი სამართლიანობა“ და რომლის ფინანსური მხარდაჭერა გლობალური ალიანსი მწვანე და გენდერული

ქედებისთვის (GlobalAllian-eforGre-enandGenderAction - GAGGA) . პროექტის მიზანია სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგონების ცნობიერების ამაღლება შინამეურნეობებში ბუნებრივი რესურსების მართვის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებზე და სოციალურ მათი საზოგადოებრივი და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების ხელ-

შეწყობა. გურიის რეგიონში მცხოვრებმა 13-მა ქალმა ტრენინგები გაიარა და კვალიფიკაცია აიმაღლა იმ საკითხებზე, რაც მათ ყოველდღიურობასთან - შინამეურნეობასთან არის დაკავშირებული. ნიადაგის მართვა, მზამ-ქიმიკატების და სასუქების სწორად გამოყენება, მათი გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და გარემოზე ზემოქმედების შემცირების გზები იყო ძირითადი საკითხები, რომლებიც მსმენელებმა ადამ ბერიდის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრის „ანასეულის“ მეცნიერ-თანამშრომლებისგან მოისმინეს. თეორიული კურსის განმტკიცება, პრაქტიკული სწავლებით გაგრძელდა, სადაც ქალებმა წარმატებული ფერმერებისგან მიიღეს რეკომენდაციები თითოეული კულტურის მოყვანა-გამწვანების შესახებ. ამჯერად, ქალები თავიანთ თემებში, ორგანიზაციის წარმომადგენლების დახმარებით, ეცდებიან თემის წარმომადგენლებს გაუზიარონ მიღებული ცოდნა, რაც ხელს შეუწყობს თემში როგორც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, ბიო-

ლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანას, ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოში ცხოვრებას და ა.შ. ტრენინგების შემდეგ, პროექტის მეორე ეტაპზე, ქალები თავიანთ თემებში ჩაატარებენ მინიმუმ ერთ შეხვედრას თემის ჩართულობით გარემოსდაცვით საკითხებზე. **იზა გოგუაძე** - სოფელში ვცხოვრობ, გვაქვს მცირე საოჯახო ბიზნესი. ჩემი ოჯახის უფროსი წევრების გამოცდილებით, ბევრი ინფორმაცია მაქვს მიღებული, თუმცა,

ასეთ კვალიფიციური და საინტერესო ლექცია-შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ჯგუფის თითოეული წევრისთვის. ბევრ რამეს გავითვალისწინებ ჩემი იდეების განხორციელების დროს. მინდა ოჯახური ბიზნესის გაფართოება. ასეთ პროექტებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ქალთა გაძლიერებისთვის. მინდა მადლობა გადავუხადო თამარ კუპრაძეს, საინტერესო შეხვედრების ორგანიზებასა და გამოცდილების გაზიარებისთვის.



## შესვედრა კომიტ ბეჟა ქობულაქიასთან



**ალიონი.** გასულ პარასკევს, 7 ივნისს ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ქუთაისელი პოეტის, ბეჟა

ქობულაძის შემოქმედებითი საღამო შედგა. შეხვედრაზე პოეტმა და ქუთაისში მოქმედმა საზოგადოება „ბაღის კედელს“ თავმჯდომარე საკუთარი ლექსებითა და მუსიკალურ-მხატვრული კომპოზიციებით კიდევ ერთხელ წარმოაჩინა თავისი მრავალმხრივი ნიჭი. სიყვარულზე დაფუძნებული შესვედრა გამარჯვებულმა ოზურგეთის საშუალო სკოლის ხალხურ საკრავთა ანსამბლმა. პოეტს ოზურგეთში თან ახლდა გიორგი კიკვაძე - მოქანდაკე და ყველაზე ახალგაზრდა „საპატიო ქუთაისელი მოქალაქე“. საღამომ დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

## ბოლო ზარმა დვაზუს სკოლაში ჩამოჰკრა



დვაზუს საჯარო სკოლაში 52-ე ბოლო ზარი დაირეკა. ზარის სევდანარევი სინარულის, მომავლის იმედის. 16 უკვე ყოფილი მეთომეტე კლასელი იდგა სცენაზე რომელიც საუფლდაგულოდ მოუერთათ. ყველა დეტალში დიდი მონღობა იგრძნობოდა. სცენაზე პირველად სკოლის დირექტორი **ხათუნა წილოსანი** ავიდა. ლელავდა, ბავშვებზე არანაკლებად. მეიმედებით, უთხრა და სცენაზე მიიწვია, როგორც თვითონ თქვა, „სოფლის მიმავალი“. ერთმანეთს ენაცვლებოდა ქორეორაფიული და მუსიკალური ნომრები, ლექსები და თეატრალური დადგმები. ბოლოს მშობლებმაც უმღერეს სტუმრებს. წლებგანდელი გამოსაშვები კლასის დამრიგებელი **ირმა სკამკორაიშვილი** იყო. „ჩემთვის პირველი სადამრიგებლო კლასი იყო, გვითხრა. „თქვენი გამოჩენა ჩემს ცხოვრებაში მზის სხივების პირველ გამოხატებას ჰგავდა. ჩვენ ერთად გავიზარდეთ, რვა წელი გავატარეთ ერთად. ეს იყო წუთები სინარულის, გამარჯვებების, იყო ბევრი წყენა, მიტყუებები, შემდეგ

არაჩვეულებრივი შერიგებები. როგორც ყველაფერს, ამ ლამაზ მოგზაურობასაც აქვს დასასრული. თქვენ ჩემი განუყოფელი, პირველი, საუკეთესო ბავშვები ხართ... სტუმრებო, მინდა გითხრათ რომ ეს ადამიანები, ეს თაობა თავის ადგილს დაიმკვიდრებს, ძვირფასი საუკეთესო მოქალაქეები იქნებიან ჩვენი ქვეყნისა. ვისურვებთ გონიერ გულს დიდ მოგზაურობაში, რომელსაც ჰქვია ჩვენი ცხოვრება. უფ-ლი გფარავდეთ!“ ასე გამოემშვიდობა ბავშვებს ირმა მასწავლებელი. **როზეტა სკამკორაიშვილი** მათი დაწყებით კლასის მასწავლებელი იყო. რა თქმა უნდა, გასასხენებელი მასაც ბევრი აქვს. ყველაზე კარგად ახსოვს მისი პატარები როგორ ჩამოყალიბდნენ იმ ადამიანებად ვინც დღეს არიან. „ბავშვებო, დასრულდა მოსწავლეობის ოქროს ხანა. ცხოვრების გადაწყვეტილებები უკვე თქვენ თვითონ უნდა მიიღოთ. კულოცავ ჩემს სკოლას საუკეთესო გამოშვებას. ბავშვებო, ხართ საუკეთესოები ჩვენი სოფლის, სკოლის სიამაყეები. გამართლებული გზებით გველოთ“ უთხრა მან ყოფილ მოსწავლეებს და გზა დაულოცა.

## ოზურგეთის „არწივების“ მორაგბეთა გუნდის ყოფილმა წევრმა ვახტანგ ჯინჭარაძემ ახალი ზელანდიის ნაკრებს ლელო დაულო

არგენტინაში, ქალაქ როსარიოში 20-წლამდე მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს. საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა პირველი შეხვედრა ახალი ზელანდიის ძლიერ ნაკრებთან გამართეს. როგორც გავით „ლელო“ წერს, „როსარიოს სტადიონზე მისული გულშემატკივარი ნამდვილად არ იხანებოდა. ფავორიტი, მართალია, ახალი ზელანდია იყო, მაგრამ შეხვედრა თავიდან ბოლომდე ცხარე ბრძოლაში მიმდინარეობდა და რიგ ეპიზოდებში საქართველოს ნაკრებმა იმდენად კარგი რაბები უჩვენა, ბევრი ნეიტრალური ქომაგი სიმპათიითაც განმსჭვალვებოდა პირველი ტაიმი 19:6 დასრულდა. შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა პირველი საზი მთლიანად გამოცვალეს. ამან შერკენებაში ჩვენი უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა და საწყისი 7 წუთის განმავლობაში აშკარა უპირატესობას ვფლობდით. 43-ე წუთზე კი „უბცროსმა ბორჯღალოსნებმა“ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი ლელო მიითვალეს.

დღევანდელ აუტი სუფთად მოეფეთ. ლოგიკურად, მტოქე ჩვენი გუნდისგან მოლის შეკვრას ელოდა, მაგრამ ითანე იამლაშვლამ ბურთი მოულოდნელად მორაგბეთა ვახტანგ ჯინჭარაძეს გაატანა, რომელმაც თანაგუნდელების დახმარებით ახალზელანდიელთა ლელოში შეაღწია. ახვანდაქმ გარდასახა - 13:19.“ ეს შეხვედრა საბოლოოდ ახალი ზელანდიელების გამარჯვებით დასრულდა 13:43. როგორც ოზურგეთის სარაგბო კლუბის მწვრთნელმა **გელა გობრონიძემ** გვითხრა, **ვახტანგ ჯინჭარაძე** 2017-2018 წლებში ოზურგეთის „არწივების“ წევრი იყო. (მწვრთნელები გოჩა კალანდაძე, თორნიკე აშვითია). გამოდიოდა ვერ „ბ“ ლიგაში, ხოლო მომდევნო სეზონი პირველ ლიგაში თამაშობდა. შემდეგ ვახტანგი ვორის „ვიქტორში“ გადავიდა, საიდანაც იგი 20-წლამდე საქართველოს ნაკრებში მიიწვიეს. მანვე გვითხრა, რომ „არწივების“ ქალთა გუნდის წევრი **ანი კახანაძე** საქართველოს ნაკრებში მიიწვიეს და ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

## ზაზა დამენიას თასის პირველი მფლობელი გივი სიამაშვილი გახდა



4 ივნისს, ოზურგეთის საჩოტბო კორტებზე დასრულდა საქართველოს ეროვნული გმირის, ზაზა დამენიას თასის გათამაშება ჩოგბურთში.

ფინალურ მატჩში ერთმანეთს საჩოტბოთ სკოლის მწვრთნელები **გივი სიამაშვილი** და **მამუკა კილაძე** დაუპირისპირდნენ. სასეტან დრამატულ ბრძოლაში გამარჯვება სიამაშვილმა მოიპოვა 6-7(5-7 ტაბრიკით) 6-3 6-4 და ზაზა დამენიას თასის პირველი მფლობელი გახდა. მატჩს ესწრებოდნენ ზაზა დამენიას ოჯახის წევრები. ფინალისტებს ვილო ზაზა დამენიას დედამ, ქალბატონმა ციური წერეთელმა პირადად გადასცა. გამარჯვებულს გადაეცათ ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორ-

ტულ გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდული განყოფილების მიერ დაწესებული პრიზები. ფინალურ შეხვედრას ესწრებოდნენ სსიპ ვებერანების სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლები. გურიის ვებერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარე, გელა ბაქანიძემ ტურნირის ყველა მონაწილეს სამსახურო საჩუქრები პირადად გადასცა. აღნიშნული ტურნირი ტრადიციულ სახეს მიიღებს და ყოველწლიურად გამართება...

# „ივერია“ კინოკლასიკად ქვეულ ლიტერატურულ ნაწარმოებში გადაგვიქცა



**ალიონი.** სოფელ შრომის საჯარო სკოლის ლიტერატურული სალონი „ივერია“, რომლის დამარსებელი და ხელმძღვანელია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სკოლის დირექტორი **რუსუდან ცეცხლაძე**, საოცრებებს ახდენს.

5 ივნისს აქ გამართული მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია „კინოკლასიკად ქვეული ლიტერატურული ნაწარმოებები“ გაუხუნარ ფურცლად შერჩება არა მხოლოდ სკოლის, არამედ სოფლის ისტორიას და თუ ამ სალონის სამოქმედო არეალი გაფართოვდება, ის უეჭველად უფრო დიდ საზოგადოებასაც აალაპარაკებს. „ივერიის“ თითო ღონისძიება თითო მწვერვალის აღებას ჰგავს, თანაც ყოველი მომდევნო მწვერვალი თავის წინამორბედზე მაღალი და ცად

აზიდულია. მიუხედავად იმისა, რომ, ჩვენ აზრით, ღონისძიების საერთო ქრონომეტრაჟი რამდენადმე გაწველილი იყო, დაღლა არავის შეტვობია, არც თემისადმი უინტერესობლობა, იმდენად დინამიკურად წარმართა ყველაფერი.

ღონისძიების პირველი სიურპრიზი ეკუთვნით XI კლასის მოსწავლეებს **მარიამ კირკიტაძესა და ლუკა ასანიძეს**, რომლებმაც თავიანთი ავტორეფერატით „ბაში-აჩუკი“ – ისტორიული მოთხრობა და ყველაზე თვალსაჩინო ეროვნული გმირი“ იმდენი შეძლეს, რომ დამსწრე საზოგადოებას, აკაკის თხზულებისა და ლეო ესაკიას ფილმის კიდევ ერთხელ ნახვის სურვილი აღუძრა.

ასევე XI კლასის მოსწავლე **ნინო მიქელაძემ** თავი დაგვამახსოვრა

იმით, რომ საოცარი სინატიფით წარმოგვიდგინა უილიამ შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და ფრანკო ძეფირელის უკვდავი ქმნილება.

მერვეკლასელმა **ეკატერინე შერვაშიძემ** ტოლი არ დაულო უფროს კოლეგებსა და მეგობრებს, დარბაზი უბრალო ხალხის ქომაგითა და „ოლივერ ტვისტის“ არაერთი ეკრანული სიცოცხლით გაავსო.

ეკატერინეს თანაკლასელმა **ანა ფუტყარაძემ** ვიტორ ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინის“ სიყვარულის უკვდავ აპოლოგად „მონათლა“.

ჰიუგოს გენიალური „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, როგორც შეუდარებელი რომანი, ფილმი და ოპერა წარმოგვიდგინეს IX კლასის მოსწავლეებმა **მაგდა ცირდავამ, მარიამ კეჭალაძემ, ინა ჩიქოვანმა**.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ **შოთა მუკუტაძის** ავტორეფერატს „ვედრება“ – გენიალური ფილმი, ანუ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კვალდაკვალ“ სახელდებული ფილოლოგებიც კი მოაწერდენ ხელს.

VIII კლასის მოსწავლე **ელენე კვაჭანტირაძემ** ვირტუალურად „ნატურის ხის“ ოცნებითა და ვნებადქცეული სურვილით შეპყრობილი ადამიანები დაგვივა ოთახში.

ავტორეფერატით „ცისფერი მთები“ – რეზო ჭვიშვილისა და ელდარ შენგელაიას ნიჭიერების ნაშუქს“ XI კლასის მოსწავლე **მაგდა გაგუამ** მესამე სათაური მოუძებნა, რომელიც ისევე არ გვეზღვმეტა, როგორც წინა ორი.

ლექსები ხატონად წაიკითხეს **თომა ჭკუასელმა, დავით ხვედელიძემ**

(II კლასი), **საბა კაკარავამ** (V კლასი).

სიმღერები შეასრულეს ყოფილმა XII კლასელებმა, აწ კურსდამთავრებულებმა **თომა ჭკუასელმა, ანანო გოთუამ** და **მარი ჭკანელიძემ**, ინგლისური სიმღერა „ალილია“ კი – X კლასის მოსწავლეებმა **ნინო მერაბიშვილმა** და **ვიკა აკოფიანმა**.

ბაში-აჩუკის სამოსი მორიგო და ამ გმირის სიმღერა ორიგინალური მანერით შეასრულა მერვეკლასელმა **ზურაბ ფერიკიანმა**.

კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფისა და საპრეზენტაციო მასალების მომზადებაში განსაკუთრებით იაქტიურეს **ჯიმი მიშველიძემ**

ცეცხლაძემ გვითხრა, სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციის მეორე ნაწილი შემოდგომით გაიმართება.

როგორც ასეთი ღონისძიების მხილველებსა და რეცენზენტებს, სულაც არ გაგვიკვირდება, რომ რამდენიმე წლის შემდეგ თვით ამ ბავშვებმა შექმნან კინოკლასიკად ქვეული ლიტერატურული ნაწარმოებები.

სასწავლო შემოქმედებით კონფერენციას ესწრებოდა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი ინწკირველი და სოფლის მეურნეობის რეგიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე



(IX კლასი), მერაბ ძირკვაძემ (XI კლასი) და ელენე კვაჭანტირაძემ (VIII კლასი).


გურამ იობიშვილი, სოფელ შრომის სკოლის მეგობარი მედიასპუალმა გახეთ „ალიონის“ ჟურნალისტი.

როგორც ქალბატონმა რუსუდან

## 1841 წლის აჯანყება გურიაში

იხმამდგა მასკალუზიური უფლებით

ბაზრამდგა დასაწყისი იხილეთ „ალიონი“ №5-8, 10-11, 15, 18, 20,22



**4. აჯანყებულთა გასამართლება.** აჯანყების მონაწილეთა სასამართლო პროცესი 1842 წლის 3 თებერვლიდან 13 მარტამდე მიმდინარეობდა ქუთაისში. განაჩენი დასამტკიცებლად გაეგზავნა კავკასიის მთავარსარდალ **ფეიქი გოლოვინს**. განაჩენი 14 აპრილს დაიტკიცდა. სასამართლოს მასალებისა და განაჩენის გაცნობის შემდეგ გოლოვინმა ასეთი დასკვნა გააკეთა: „კანონიერი ხელისუფლებისადმი ურჩობა, რომელსაც თან სდევს სამხედრო ძალებისადმი აშკარა შეარღვეული წინააღმდეგობა და ბოროტმოქმედება, რა მიზეზითაც უნდა იყოს იგი წარმოშობილი და რა მიზეზითაც უნდა წარმოებდეს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებულ იქნას და დამნაშავენი უსათუოდ მკაცრად უნდა დაისჯონ“. აჯანყების ის მონაწილენი, რომლებიც სასამართლოს წინაშე წარსდგნენ, **ორ თანრიგად** გაყვეს. პირველი თანრიგის დამნაშავენი სამ ნაწილად (ხარისხად) გაყო, მორე თანრიგ – ასევე სამ ნაწილად (ხარისხად).

**I. პირველი თანრიგის** პირველი ხარისხის დამნაშავეებად სასამართლომ მიიჩნია: **I. თავადი პრაპორშნიკი ამაკო შლიკაშვილი**, აზნაურები: **სვიმონ ჭყონია, სვიმონ ქარცივაძე, ქაიხოსრო გუგუნავა** (ქაიხოსრო გუგუნავა თავად ყაშიმ გუგუნავას უკანონო შვილი იყო, იგი ოფიციალურ რუსულ დოკუმენტებში არა თავადად, არამედ აზნაურად იხსენიება). მათი სასჯელი ასე განისაზღვრა: „თავად შლიკაშვილს, აზნაურ ჭყონიას და ქაიხოსრო გუგუნავას აყვართ ყოველგვარი ღირსება. პირველს ჯვალათმ თავზე გადაამტკიცოთ ხმალი, ხოლო ქაიხოსრო გუგუნავა დაისაჯოს შპიცრუთენებით (რკინის წკეპლით – ვგ.) ორჯერ 500 კაცში გატარებით. სამივე გაიგზავნოს ციმბირში საკატორლო სამუშაოზე. შლიკაშვილს და ჭყონიას ხაზინის სასარგებლოდ ჩამორთვათ ქონება. აზნაური სვიმონ ქარცივაძე კი განთავისუფლდეს სასჯელისაგან და გამოშვებულ იქნას თავადობით“ (სვიმონ ქარცივაძემ აჯანყებულებს უღალატა და შეძლევ მათ

შეპყრობაშიც მონაწილეობდა, რის გამოც სასამართლომ მას სასჯელი არ შეუფარდა).

პირველი თანრიგის მეორე და მესამე ხარისხის დამნაშავეებად მიჩნეული იქნენ გლეხები: **ესიკა მამულიაშვილი, გოგია ვიბლაძე, მასაროელ ვიბლაძე, ესიკა ვიბლაძე, ნიკოლოზ თითძე, გოგია გორდელაძე, მამუკა ანთაძე, მასაროელ დოლიძე, იასე შეწირული, სვიმონ ჭყონია**. მათი სასჯელი ასე განისაზღვრა: „ყველა ხსენებული ბრალდებული, გარდა ესიკა ვიბლაძისა, დაისაჯოს შპიცრუთენებით, თვითიული 500 კაცში ორჯერ გატარებით და გაიგზავნოს 10 წლით ბობრუსკში, პატიმართა ასეულში; ხოლო ესიკა ვიბლაძე, მისი ახალგაზრდობის გამო, დაისაჯოს 120 წკეპლით და გაიგზავნოს იმავე პატიმართა ასეულში 10 წლით“.

**II. მეორე თანრიგის** პირველი ხარისხის დამნაშავეებად მიჩნეულ იქნენ გლეხები: **ჩუქუ ვადაჭკორია, ათან ვადაჭკორია, ნიკოლოზ ვადაჭკორია, გოგია ვადაჭკორია, დათია მგერელიძე, მათია ჩინჩაბაძე**. მათი სასჯელი ასე განისაზღვრა: ჩუქუ და გოგია ვადაჭკორიები, მათია ჩინჩაბაძე დაისაჯონ შპიცრუთენებით თითოეული 500 კაცში ორჯერ გატარებით და გაიგზავნონ სევასტოპოლში, პატიმართა ასეულში, 10 წლით; ათან და ნიკოლოზ ვადაჭკორიები, დათია მგერელიძე, ახალგაზრდობის გამო, დაისაჯონ 120 წკეპლით თითოეული და გაიგზავნონ ბრესტ-ლიტოვსკში, პატიმართა ასეულში, 10 წლით.

მეორე თანრიგის მეორე ხარისხის დამნაშავეებად მიჩნეული იქნენ გლეხები: **ნიკოლოზ ჩინჩაბაძე** და **ლახარე**

**ვადაჭკორია**. მათი სასჯელი ასე განისაზღვრა: „გლეხი ნიკოლოზ ჩინჩაბაძე ორჯერ გატარებულ იქნას 500-კაციან მწყობრში; ლახარე ვადაჭკორია, ახალგაზრდობის გამო დაისაჯოს 120 წკეპლით. ორივე გაიგზავნოს ბობრუსკში, პატიმართა ასეულში, 10 წლით. მეორე თანრიგის მესამე ხარისხის დამნაშავეებად მიჩნეული იქნენ გლეხები: **გიორგი კვაჭანტირაძე, ესიკა ხუხუნაშვილი, ივანე ნიკოლოზის ძე მასარაძე, ივანე გრიგოლის ძე მასარაძე, ესიკა გელაძე, გოგია ღუმუბაძე**. მათი სასჯელი ასე განისაზღვრა: გიორგი კვაჭანტირაძე, ესიკა ხუხუნაშვილი, ივანე გრიგოლის ძე მასარაძე, ესიკა გელაძე და გოგია ღუმუბაძე დაისაჯონ შპიცრუთენებით 500 კაცში ორჯერ გატარებით და გაიგზავნონ სევასტოპოლში, პატიმართა ასეულში, 7 წლით; ივანე გრიგოლის ძე მასარაძეს, ახალგაზრდობის გამო, დაერთყას 105 წკეპლა და გაიგზავნოს იმავე პატიმართა ასეულში 7 წლით. მეორე თანრიგის მესამე ხარისხის დამნაშავეებად ასევე ჩათვალნენ: აზნაური **ალექსანდრე ნაკაიძე** და გლეხები: **ესიკა კვაჭანტირაძე, ბუჩა ჩხატარაიშვილი, მაქსიმე ჯორენაძე, გაბილა ბაქანიძე, დათო ღლიონტი**. მათი სასჯელი ასე განისაზღვრა: „აზნაურ ნაკაიძეს აყვართ ყოველგვარი ღირსება, გაიგზავნოს ციმბირის საკატორლო სამუშაოზე, ჩამორთვას მამული ხაზინის სასარგებლოდ; გლეხ ჯორენაძეს ახალგაზრდობის გამო დაერთყას 105 წკეპლა და გაიგზავნოს ბრესტ-ლიტოვსკში, პატიმართა ასეულში, 7 წლით; გლეხები ესიკა კვაჭანტირაძე, ჩხატარაიშვილი და ბაქანიძე დაისაჯონ შპიცრუთენებით 500 კაცში გატარებით და გაიგზავნონ იმავე

პატიმართა ასეულში 7 წლით.

ზემოთ ჩამოთვლილი 34 ბრალდებულად 2 თავდებით გაათავისუფლეს, სულ თავდებით 13 კაცი იქნა გაათავისუფლებული. 10 ბრალდებულის შეპყრობა სასამართლოს დამთავრების დროისათვისაც კი ვერ მოხერხდა, ისინი ოსმალეთში გადაიხვეწნენ.

აზნაური **ატესა ბოლქვაძე** სასამართლოს დაწყების დროისათვის უკვე ცოცხალი აღარ იყო, იგი მანამდე მოკლეს.

გურიის მზრის ახალმა უფროსმა კავკასიის მთავარსარდალს სთხოვა, რომ ქუთაისში სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი გურიაში საჯაროდ არ გამოეცხადებინათ, რადგან გამორიცხული არ იყო ახალი მღელვარების დაწყება. თხოვნა შეწყნარებულ იქნა.


ქუთაისში აჯანყებულთა სასამართლომ განაჩენი გამოიტანა, რომელიც ევგენი გოლოვინმა დაამტკიცა, მაგრამ მოულოდნელად იმპერატორმა ნიკოლაი I-მა ყველაფერი შეცვალა. პეტერბურგიდან კავკასიის მთავარსარდალს აცნობეს: იმპერატორმა „მოილო წყალობა ვერ კიდევ გაუნათლებელი, საწყალი ხალხის მიმართ. მიიღო რა მხედველობაში, რომ გურულები ჩათრეული იყვნენ დანაშაულში არა ბოროტი განზრახულობით, არამედ მთავრობის ჭეშმარიტ მოსაზრებათა გაუგებრობით, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ თავისი პირდაპირი მოვალეობის არასწორად შესრულებით, თიდან და იქისრა მუშაობითა უფროსობა, ამკარად ჩაიდინა ბოროტგანზრახვითი ღალატი“.

**(ბაზრამდგა იძნება) პასტანგ გურული**



კვილი ოზურგეთის ქრონიკები

კვლევა გურიელის „ვეფხისტყაოსანი“ და მძვინვარე თაყაიშვილი



თურქეთის ომში. დიმიტრი გურიელმა 1873 წელს ოზურგეთში აიშენა სასახლე (ახლა შემოქმედის ეპარქიის რეზიდენცია). მალაქა გურიელის ორსართულიანი სახლი იდგა ახლანდელი კინოთეატრ „ოზურგეთის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. ფრად განათლებული ქალები ყოფილან დესპინე და პელაგია. პელაგია რუსეთის არმიის გენერლის საჩხერელი ნესტორ წერეთლის მეუღლე იყო. გურიის უკანასკნელი მთავრის მამა V გურიელის დედა მარინა, დელოვალი სრულიად გურიისა, იყო ზემო იმერეთის მხარის თავადის ქაიხოსრო წერეთლის ასული.

პელაგია გურიელი-წერეთლისა ფრეილინა, მწიფნობრული ინტერესების მანდილოსანი ყოფილა. მას მხოთვესი მოპყლია სოლომონ I-ის ნაქონი ილუსტრირებული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. პელაგია წერეთელს თურქულეკები უძღვნა გრიგოლ ორბელიანმა (მის ბრწყინვალეობა, კნენა პელაგია წერეთლისა). არსებობს მოსაზრება, რომ პ.წ. (სს) ადრესატე პელაგია წერეთელია.

დაუბრუნდეთ სარედაქციო შენიშვნას: „ამავე საგნის შესახებ ჩვენ მივიღეთ კიდევ შემდეგი წერილი თ.დ.ნ -საგან. „ვეფხისტყაოსანი“ ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნები“ სრულის მხატვრობით, რომელიც ძრიელ გამოირჩეოდნენ და ოქროს წონით ფასობდნენ. ერთი ამისთანა „ვეფხისტყაოსანი“ ჰქონდა დიდ მეფე სოლომონს, რომელიც მეფის უბოედ გარდაცვალების შემდეგ, დარჩა მეფის ასულ დარეჯან ბატონიშვილს, რომელიც დედა იყო ივანე აბაშიძისა. მე-18 საუკუნეში იმერეთის მეფის სოლომონ პირველის (1735-1784) დაგალებით, განუახლებათ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ძველი დაზიანებული ხელნაწერი (შ 5006), რომელიც შესანიშნავი ილუსტრაციებით ყოფილა შემოქმედი, განახლებისას ტექსტი ხელახლა გადაუწერათ, სურათები კი ძველი ხელნაწერიდან ახალში გადაუტანათ. მაგრამ, რადგან მათი ფორმატი სხვადასხვა იყო და სურათები უფრო მცირე მოცულობის ქაღალდზე იყო შესრულებული, მათთვის ზემოდან და ქვემოდან არმები შემოუწებებთ და ასე გაუტოლებთ იმ ქაღალდის ფორმატისთვის, რომელზედაც ტექსტი წერდნენ. ზოგი სურათი, რომელიც ძალზე დაზიანებული იყო, ახალ ხელნაწერში აღარ გადაუტანათ, სამაგიეროდ, დაუმტებთ ერთი ახალი ილუსტრაცია. ტექსტის ის ნაწილი, რომელიც ძველ ხელნაწერს აკლდა, ვახტანგ VI -ის მიერ 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით შეუვსათ, ბოლოში კი პოემის გაგრძელებებიც დაურთათ.

ახლად გადაწერილი და „მოკაზმული“ „ვეფხისტყაოსანი“ სოლომონ მეფისათვის მიურთმედათ. 1880 წელს გაზეთი „დროება“ თუწვებოდა, რომ ეს ხელნაწერი იმერეთის მეფის სოლომონ დიდის კუთვნილება ყოფილა. მისი გარდაცვალების შემდეგ ხელნაწერს დაატრონებია მეფის ასული დარეჯანი. როგორც ცნობილია, დარეჯან ბატონიშვილი ცოლად ჰყავდა დიდ იმერელ ფეოდალს ქაიხოსრო აბაშიძეს. მათი შვილი იყო იმერეთის აჯანყების მეთაური ივანე აბაშიძე. საისტორიო წყაროებით, 1819 წელს აჯანყებამ იფეთქა იმერეთში, ხოლო შემდეგ გურიასა და სამეგრელოს მიედო. მისი მთავარი

მიზეზი გახდა საეკლესიო რეფორმები, რომელსაც რუსეთი ატარებდა. თეოფილაქტე ვეზარხოსმა, ყოველგვარი წინასწარი „შემზადების“ გაერეშე, დაიწყო ქართული ეკლესიების დარბევა, სამრევლოების შემცირება, ნატურალურის ნაცვლად, ახალი ფულადი საეკლესიო გადასახადების გაწერა. ადგილობრივი სამწყსოების შევიწროება და აბუჯად ადგება ხალხი ამას არ შეურიგდა, აჯანყებამ მოიცვა იმერეთი და რაჭა. ერთილოვან იმერეთის მმართველს გენერალ კურნატოვს აჯანყების მოთავეთა მკაცრი დასჯა მოთხოვა, მაგრამ იგი შეიცვალა უფრო მკაცრი და დესპოტი პუზირევსკით, რომელმაც იმერეთში შესვლისთანავე აჯანყებულთა დაპატიმრება დაიწყო. აჯანყების მოთავე ივანე აბაშიძე გურიაში გაიქცა, თავისი ცოლის ბიძის ქაიხოსრო გურიელის ოჯახს შეაფარა თავი სოფელ შემოქმედში, რომლის დახმარებით ახალ ლაშქრობას ამზადებდა მთავრობის სამხედრო ძალის წინააღმდეგ. პუზირევსკი ფიქრობდა, ქაიხოსრო გურიელს თავის სახლში შეიპყრობდა, მაგრამ გზაზე სამი გლეხი შემოეყარა, შეკითხვაზე - სად არის ძალიშვილი ქაიხოსრო, პასუხად ქაიხოსროს ნათელუმა იოთამ ბოლქვაძემ იარაღი ატაკა და ძირს დასცა პუზირევსკი.

საბოლოოდ, სოფელ შემოქმედის ახლოს დაბანაკებული ქაიხოსრო გურიელის და აჯანყების მოთავეს, ხანისწყალის ხეობაში გამაგრებული ივანე აბაშიძის ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა. რუსეთის ჯარმა ჩაახშო აჯანყება. დამარცხებული ქაიხოსრო გურიელი და ივანე აბაშიძე ოსმალეთში გადაიხვეწნენ. ქაიხოსრო გურიელი ოსმალეთში გარდაიცვალა 1929 წლის 25 სექტემბერს და დკრძალულია ჩარჩაბაში (სამსუნიდან 40 კილომეტრის დაშორებით), ფერისცვალების ბერძნული ეკლესიის ეზოში. ივანე შემდეგშიც განაგრძობდა ბრძოლას, მაგრამ იგი ღალატით მოკლეს ახალციხეში. როგორც ცნობილია, ივანე აბაშიძეს ცოლად ჰყავდა ქაიხოსრო გურიელის ძმის სვიმონის ასული ელისაბედი (იმ ხანებში ივანეს სიმამრი ცოცხალი აღარ იყო). ივანემ კარგად იცოდა, რომ იმერეთში მის ოჯახს დაარბევდნენ და თან წაიღო ყველფერი, რისი წაღებაც სახელდასხვოდ შეიძლებოდა. მათ შორის იყო პაპაძისის - სოლომონ მეფის ნაქონი „ვეფხისტყაოსნის“ ძვირფასი ხელნაწერი, რომელიც შემდეგ მზითვად წაუღია ქაიხოსრო გურიელის ასულს პელაგიას. მან 1880 წელს ხელნაწერი იდრობითი სარგებლობისათვის, დიმიტრი ყიფიანის ხელით, გადასცა თბილისში პოემის დამდგენ კომისიას. კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ, ხელნაწერი კუთვნილებსამებრ დაუბრუნდა პელაგია წერეთელს. ბოლოს ამ ხელნაწერის მფლობელი გიგო წერეთელი გამხდარა. ხელნაწერი ოჯახის რელიკვიად მაჩნდათ და თვალისჩინებით უფრო ხილდებოდნენ. დროთა განმავლობაში წიგნს ყლა შემოაცვდა და დაიფურცლა. ამიტომ გიგო წერეთლის ვაჟებმა თბილისში წაიღეს ყდის გასაკეთებლად. მძებმა ხელნაწერი მშვენიერ ყდამ ჩაასმევენეს, მაგრამ უკან მობრუნებულეს ხელნაწერი ეტლში დარჩენათ. ეს ეტლი შემდეგ უქარავებია ცნობილი ქართველი ვაჭრის ფორაქიშვილის ერთ ნოქარს,

უნახავს ეტლში ეს ხელნაწერი დაძალზე გახარება - „ახლა კი ვაკვირდი კაცი“. ფორაქიშვილს ეს ამბავი რომ გაუგია, ექვთიმე თაყაიშვილთან გაუგზავნია ნოქარი, წერა-კითხვის საზოგადოება შეიქმნსომაგრამ ექვთიმე არ დახვედრია, ნოქარს ხელნაწერი მიუტანია ფორაქიშვილის სიძისათვის სოლოლაკში, მეწარმე დავით სარაჯიშვილისთვის, რომელსაც სამი თუმანი მიუცია ხელნაწერში. „ცოტა ხნის შემდეგ იფონებს ექვთიმე თაყაიშვილი, - დავით სარაჯიშვილმა მიმიწვია სადილად, კვირა დღე იყო, სტუმრები ჰყავდა, შევედი თუ არა, მომაგება ის ხელნაწერი „აი საშენი“, დავხედე, მოვკიდე ხელი და ვუთხარი: „ამას თან წაიღებ და გულმოდგინედ შევისწავლი-მეთქი“. „წაიღე, ოღონდ მალე დამბრუნე, ბარონ დე ბაის უნდა ვაჩუქო“- უპასუხა თურმე სარაჯიშვილმა.

ექვთიმე თაყაიშვილი შემდეგ გულისტკივილით აღნიშნავდა: „საერთოდ, ერთი პირდაპირ აღმაშფოთებელი თვისება სჭირს ქართველებს, შეგნებულებსა და თითქოს ძაბულიშვილებსაც კი, რაც რამ კარგი და თავმოსაწონი ნივთი ჰქონდათ, გაჩუქებდნენ ისეთ პირებს, რომლებიც საქართველოს გარეთ ცხოვრობდნენ, სამარცხვინო სიმჩატეს იჩენდნენ, ერთხელ ქართველმა თავდაზნაურობამ ასწია ერეკლე მეორეს ნაქონი თოფი -ის, რომლითაც კონტა ბელადი მოკლა ასპინძის ომში და მართა მეფის ნაცვალს, კიდევ კარგი, რომ იმან უკანვე დააბრუნა, ეს თქვენი ძვირფასი სასოფარია და თქვენთანვე უნდა დარჩესო“, ამ არადა, აღუქსანდრე ორბელიანი, რომ იყო ნამდვილი პატრიოტი, ვორონცოვს აჩუქა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი საუკეთესო ხელნაწერი, მე-17 საუკუნისა (იქედან გადმოიღო გაგარინმა პირველად შოთა რუსთაველის სურათი). კიდევ კარგი, რეკოლუციის შემდეგ აღმოჩნდა ის ხელნაწერი ვორონცოვის არქივში და ისევ დაგვიბრუნდა, თორემ ხომ უნდა დაგვეკარგოდა? ვლადკერნის ცნობილი ზატი იმპერატორ აღუქსანდრე მეორეს აჩუქეს, მაგრამ იმანაც მეფის ნაცვლისა არ იყოს, შეგნებულობა გამოიჩინა და უკან დააბრუნა, მაგრამ ვინ იცის, რამდენი რამ იქნა ამრიგად ქარაფშუტულად გაბოძებული. გაყვდავზე და გადათიხვებთან მითვისებაზე რომ აღარ ითქვას რა? რომ ასე არა, ჩვენი მუხუშეები ახლა ერთ-ათად უფრო მდიდარი უნდა გვექონდეს ხელნაწერებითა და სამახსოვრო საგნებით, ხოლო უცხოეთის მუხუშეებში ამდენი ჩვენი სანუკვარი ძეგლი არ უნდა იყოს მოხვედრილი ქართული კულტურისა. პოდა, სწორედ ასეთ რამეს უპირებდა იმ, თუმცა სპარსული ყადის, მაგრამ მაინც საუცხოო მინიატურების შემცველ ხელნაწერს დავით სარაჯიშვილი, რომელიც იმავე დროს, ნიადგ ქართველების ხასიათის სიმჩატესა ბედოვლათობაზე წუწუნებდა და ერთხელ ამის გამო ილია ჭავჭავაძესაც კი აწვეინა განრისხებით ხმა. როგორც უკვე გავისხენე, მერე-და ვისთვის მიძღვნას? ბარონ დე ბაისათვის.


ექვთიმე თაყაიშვილის გადმოცემით, ბარონი დე-ბაი ერთი დილეტანტი მონახლისე იყო, მდიდარი, მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყანაში, რადაც-რადაცებს წერდა და იტენდა ძველ ნივთებს, როგორც მეცნიერი, დიდ არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ გარკვეულ წრეებში მაინც

შპნ, დედაჩემის აფთიახი, ვარსკვლავი მამა პაპისა“ გიორგი ლომიძე

უსაზღვრო პატივით სარგებლობდა (მოავრობაც დიდ პატივს სცემდა, და საგანგებო მდივანიც კი ჰყავდა მიჩენილი).

მრავალჯერ მაკითხა ექვთიმე თაყაიშვილს სარაჯიშვილმა ხელნაწერის წასაღებდ, მაგრამ მეცნიერი ყოველთვის ერთი და იმავეს პასუხობდა: „კი ბატონო, მაგრამ ვერ არ შემისწავლიათ. ამასობაში დე ბაი და სარაჯიშვილი საზღვარგარეთ გაემგზავრნენ. ახლა სარაჯიშვილის ცოლი ხშირად აგზავნიდა კაცს ხელნაწერის დასაბრუნებლად. ჩანს, ესენი აღარ მომეშვებანო, იფიქრა მეცნიერმა და ხელნაწერი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა. მისი აღწერილობაც გამოსცა. სარაჯიშვილი რომ დაბრუნდა, ისევ მოკითხა ხელნაწერი. ექვთიმე თაყაიშვილმა უთხრა: „კი, კაცი ჩამოეხსენი ამ „ვეფხისტყაოსანს“, ვილაც გადამიტეხს რომ გინდა მაინცა დ ამინც გაატანო, აქოდა ბარონიო, აი, შენი სახელით, შეწვიერე წერა-კითხვის საზოგადოებას და კიდევაც გამოეცეცა“. მეცნიერმა უჩვენა ხელნაწერის აღწერილობის ტომი, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი სარაჯიშვილის სახელით იყო შეტანილი. თურმე ეს ამბავი ეამ სარაჯიშვილს, გაეცინა და კარგი, კარგიო, უთქვამს. მაგრამ ხელნაწერის თავდადასავალი ამით არ დამთავრებულა. ერთხელ ექვთიმე თაყაიშვილს ესტუმრა ორი წარმოსადგევი, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი სასამოუნო გარეგნობის ახალგაზრდა ვაჟკაცი. „ჩვენ ძმები წერეთლები ვართ და თქვეთან საქმე გვაქვსო“. პელაგია წერეთლის გარდაცვალების შემდეგ მისი ქმრის ნესტორ წერეთლის ქონება რომ გავიყავით, „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენ გვეყო, შემდეგ დედამ გამოგატანა თბილისში ყდის გასაკეთებლად, ვაჟკაციოთ, მაგრამ ეტლში დაგვჩა, მას შემდეგ დედაჩემი აღარა ვაჯვრით, დაკარგული ჰგონიაო, საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი იმაზე უკეთესი არ მოიპოვებო. ხელნაწერები თურმე სულ თქვენთან მიდის და ჩვენსაზე ხომ არაფერი გავიგაით? როგორი ხელნაწერი იყო, ჰკითხა ექვთიმე. „დიდი იყო, ძველი, ტყავისა, თუ თქვენთანაა, ვაითხოვეთ და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, ისევ დაგბრუნებთ, ოღონდ დედას ვაჩვენით და დაკარგუნიოთ, რომ არ დაკარგულაო - შეგხეწუნე ძმები. თაყაიშვილმა უთხრა: „საერთოდ, ყველაფერს მუხუშეში ეტოვებთ, რასაც შემოგწვირავენ, არ დაგომლავეთ, ვე ხელნაწერიც ვიცო, ოღონდ გეშლებათ ქაღალდზე ნაწერი და არა ტყავზე, მაგრამ სამწუხაროდ იგი სხვისი ნაყიდა, მერე შემოძწირა. ახლა საზოგადოების საკუთრებას შეადგენს და როგორღა შეიძლება მისი წაღებო“ ძმები მაღდნენ საზოგადოების გამგეობას, იქ უპასუხეს: ეს ჩვენ არ გვეკითხება, თაყაიშვილის საქაო. მაღდნენ ისევ თაყაიშვილს, რაღას იზამდა ექვთიმე, დაწერა წერილი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუხუშეის სახელზე. ძმებმა დროებით წაიღეს ხელნაწერი გავიდა ერთი თვე, მაგრამ წერეთლებმა ხელნაწერი უკან აღარ დააბრუნეს.

იმ ხანად საჩხერეში გამყრელიძის



# კვლევა გურიელის „ვეფხისტყაოსანი“ და ექვთიმე თაყაიშვილი

კარმიდამოზე ძველი ყორღანული სამარხი აღმოჩენილიყო და არქეოლოგიური გათხრების საქმეს ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. ექვთიმემ ბინა გამყრელიძის სახლში დაიღო. საჩხერეში მამინ მოთავეობდა, „დედოფლობა“ ელისაბედ წერეთელი, ორმოცდათორდე წლისა, რომანტიკული სულისკვეთების, ქვრივი, თითონ გიორგი წულუკიძის ასული იყო. ელისაბედი ყველა წერეთელზე მდიდარი იყო, რადგან მის მამულში ბლომდა მოიპოვებოდა შავი ქვის მადანი. იგი საჩხერის სკოლის მზურველთა საბჭოს თავმჯდომარე იყო და ამ სკოლის სასარგებლოდ ყოველ წელიწადს აწყოდა დიდ შეგვიძის, ღია ცის ქვეშ, მუსიკით და მთელი ქუთაისის გუბერნიიდან მიპატივებული სტუმრებით, გუბერნატორიანად. ელისაბედი სანოვაგეს უსასყიდლოდ მოაგროვებდა და სტუმრებს ორ-ორ მანეთს ახდევინებდა და შეგროვებულ თანხას სკოლას მოახმარდა ხოლმე. ერთ-ერთი მეგვლისი ექვთიმე თაყაიშვილის იქ ყოფნას დაემთხვა და ელისაბედი ექვთიმე მიიწვია. ელისაბედი გულთბილად შეხვდა ექვთიმეს, გადაკიცნა და მოიკითხა. ელისაბედის მამა გიორგი წულუკიძე დიდხანს ცხოვრობდა გურიისში, მოპრიგებულ მოსამართლედ

მუშაობდა და თანაც შესანიშნავი მონაღორი იყო. თაყაიშვილი კარგად იცნობდა მას. ელისაბედი მართლა დედოფალივით განაგებდა იქაურობას და მთელი თავადიშვილთა ამაღა ახლდა თან, მათ შორის ის ძმები წერეთლები, ექვთიმემ მაშინვე ამოიცნო და ელისაბედს მოახსენა: კნენა, ახლა სხვაზე ნურაფერზე მელაპარაკებით, მე და ეს ახალგაზრდები გაგვასამართლოთ! ეს ახალგაზრდები მოვიდნენ ჩემთან და დროებით მოთხოვეს საზოგადოების კუთვნილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი. თან პატიოსანი სიტყვა მომცეს, რომ დამიბრუნებდნენ და არ დააბრუნეს, სხვისი ვათხოვე და ახლა არ ვიცი, რა პასუხი გავცე პატრონს, უხერხულ მდგომარეობაში ჩამყენსო. ვაგები დაიწვენ სირცხვილით, ვაი, ეს რა დღეში ჩავვარდით, ბატონო. ქალბატონი ელისაბედი მოგივცია თავდებათ, რომ ერთ კვირაში მოგიტანო. ვაგიდა ერთი კვირა, მაგრამ ძმები წერეთლები არ გამოჩნდნენ. თაყაიშვილი თბილისში ჩავიდა, წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმში იკითხა ხელნაწერის ამბავი, უთხრეს უკვე მოიტანესო. თაყაიშვილმა გადაშალა ხელნაწერი, დარწმუნდა ის ხელნაწერი იყო და დაშვიდა. ხელნაწ-


ერი ფრიდონ წერეთლის შემოწირულად გატარდა მუზეუმის საინვენტარო დაეთარში 5006. 1911 წლის 7 მაისს „სახალხო ფურცელი“ უკვე თუწყებოდა, რომ წერეთლებმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირეს „ვეფხისტყაოსანი“. მაგრამ ამით არ დამთავრებულა ხსენებული „ვეფხისტყაოსნის“ ისტორია. ხელნაწერში მოთავსებული 87 სურათიდან ათი ისე ოსტატურად ამოეჭრათ, რომ კვალი არ ეტყობოდა. 1911 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ოქსფორდიდან მიიღო ოლივერ უორდროპის წერილი, რომელიც იტყობინებოდა, რომ ვიღაც სომეხ ანტიქვარს მისთვის მოუტანა „ვეფხისტყაოსნის“ სურათები გასაყიდად. უორდროპმა გადაიღო ამ სურათების ფოტოები და თაყაიშვილს გამოუგზავნა თბილისში. როგორ გაირკვა, ეს ათი სურათი ზემოხსენებული „ვეფხისტყაოსნიდან“ იყო ამოჭრილი. ექვთიმე თაყაიშვილმა აცნობა უორდროპს, თუ შეიტანდა ამ სურათებს, უნდა დაებრუნებინა თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის. მაგრამ უორდროპი ფასში ვერ მორიგებია გამყიდველს და სურათები ისევ პარიზში დაუბრუნებია. 1912 წლის იანვარში ექვთიმე

თაყაიშვილის მცდელობით, ვაჭრებმა სურათები თბილისში ჩამოიტანეს და მისაკა ურას შემეგობით ექვთიმეს მოუტანეს. სურათების მეპატრონეებმა ჯერ ათასი მანეთი მოითხოვეს, შემდეგ ხუთას მანეთსაც დასჯერდებოდნენ, მაგრამ ექვთიმემ გუბერნატორით დაამინა. ვაჭრები დაფრთხნენ და თქვეს: „ბატონო, ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენ საერთოდ მაგვებით ვვაჭრობთ, რას გვემართლებით, წერეთლებმა მოგვყიდეს 600 მანეთად. ისინი ვერ ამოჭრიდნენ შეუქმნველად სურათებს, მოგვეცეს და ჩვენ ამოვჭვიროთო. ახლა ჩვენი ფული დაგვიბრუნეთ და ყველა სურათი უკან ინებეთო! თუ არ გვჯერათ, თვით წერეთლებს ჰკითხოთო. ექვთიმემ ვაჭრებს უთხრა: „ახლა ჩვენ მაგის გამოძიებას ვერ შევუდგებით და ვერც ვერაფერს მოგვცემთ, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მაგ თანხას ვერ აგინაზღაურებთ, მაგრამ რაკი დაზარალებული ხართ, ვიშუამდგოლებ, რომ 200 მანეთი მაინც მოგცნო. ექვთიმე თაყაიშვილმა 1912 წლის 28 იანვარს წერილობითი მოხსენება წარუდგინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს გიორგი ყაზბეგს და სთხოვა, სურათები დაუფრთხელოვ

შეეცინათ, რომ სამუდამოდ არ დაკარგვოდათ. ამასთან ერთად, თაყაიშვილი წერდა: უნდა მოგახსენოთ, რომ წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“ დიდად შესანიშნავია, ისეთი ღირსების სურათები არც ერთ სხვა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს არ მოეპოვება“. როგორც გაირკვა, საზოგადოებას წინა წლიდან ათასი მანეთი ჰქონია შემორჩენილი, აქედან 275 მანეთი მოუციათ სურათებში და მათ კვლავ წერეთლისეულ ხელნაწერში მოჟინეს ბინა. და ბოლოს, მშენიერი ქალის-პელაგია გურიელის“ მზითვეში გატანებული „ვეფხისტყაოსანი“ პატრონს არა და ხელნაწერთა ინსტიტუტს დაუბრუნდა მხოლოდ და მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილის თავგადაკლული მცდელობით, რომელიც თავის თავზე სიცილით ამბობდა თურმე: „ნამდვილი ყაჩაღი ვარ, ფეხი, რომ არ მომტეხოდა, ფირალი ვიქნებოდი“.

**მანანა ლომაძე,**  
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი

## სკანვორდი



				ვარსკვლავების მანძილის საზომი								
			ქალაქი რაჭაში									მესამე პირის ნაცვალსახელი
												თამასუქმე მიმაგრებული ფურცელი
			მრწამსის საჯარო უარყოფა							ადვილი		
					ქვევერი	ირინა მოფერებით		შეძახილი ცეკვაში	სიდიდით მეორე ჩანჩქერი	სიმინდის პროდუქტი		
			პურის სოკო		პისგოლეგის გამომგონებელი							
												ქიმიური ელემენტი
თითისგარის გამომგონებელი			ყველაზე წყალუხვი მდინარე	ნაცია		ჯემალ ჭკუასელის გუნდი			სალამო	ქობი	ქართული წმინდანი	არც აცხვლა, არც ...
			აწიოება	დედა აჭარულად		ფიალა			მომოქცევიდან ჭარბი ფულის ამოღება			
			ტბა საქართველოში			მშის საათის გამომგონებელი		უბელო				
			ქალის სახელი		მწერალი ... მორჩილაძე			პაწაწინა ყვავილი				
										ზიარებისთვის განუთენილი პური		
										გარეული ცხოველი		ქართული კალათბურთელი

### № 22-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ჩარლი ჩაბლინი; გამზმარი ხილი – ჩირი; გულის დაავადება – არითმია; ერევნის საფეხბურთო კლუბი – არარატი; ატომის გამსლევი მეცნიერი – რეზერფორდი; გრამატიკული კავშირი – და; შემწვარი კარტოფილი – ფრი; მოკლე კაბა – მინი; მდინარე ქართლში – ლიხვი; მ. ჯგავსიშვილის ნაწარმოები – არსენა; მუნიციპალიტეტი იმერეთში – ვანი; აზერბაიჯანელი შემოკლებით – აზერი; ქვასანაყი – როლინი; ნაგვის ასაღები – აქანდაზი; ციტრუსის სახეობა – მანდარინი; პოპულარული სასმელი – ჩაი; მე-13 ასობგერა – ნ; ბეტონის ლურსმანი – ლუბელი; ვირის ნაშიერი – ჩორორი; ისლანდიის დედაქალაქი – რეიკიავიკი; ქართული პავიოგრაფი – ხანცთელი; პატარა ურო – ჩაქუჩი; ძვირფასმერქნიანი მცენარე – ურთხელო; ძალის ჯიში – ლაიკა; ოუენს არგენტინელი ფეხბურთელი – დიბალა; ერთგვარი ფხალი – ეკალა; ყვავილიც, ელემენტიც – კალა; სტალინიმა რომ ხრუშჩოვს ჩაართვა – ჩიბუხი; ჩასაბარებელი – თავანი; დოლარის ზურდა – ცენტი; გაუვალობის დროს რომ იყენებენ – ოჯა; ჭაობის მცენარე – ისლი; მინდორი – მოლი; პირითი ხაზის გადაკვეთისას ინიშნება – კუთხური. სპილენძის ძველებური ჭურჭელი – კარდალა; ციფრი – რვა; ქალის სახელი – ირა; ძვირფასი თევზი – სვია; დიახ – კი



პრესკონფერენცია

# გრანდიოზული სამართაშორისო საფესტივალო ეპროკული ტურიდან ოზურგეთის თეატრი გამარჯვებული დაბრუნდა

## ოზურგეთული „კონცა“ ბულგარეთსა და უკრაინაშიც პაპით



**ალიონი.** გასულ პარასკევს ოზურგეთის აღწერილობის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **ვასო ჩიგოვიძემ** გურიის სამხარეო ადმინისტრაციის სააქტო დარბაზში გაფართოებული პრესკონფერენცია გამართა.

როგორც ცნობილია, ჩვენი თეატრი მისში ხანგრძლივ საფესტივალო ტურში იმყოფებოდა. თეატრმა ბოლო პრემიერით ანა პეტროვას „კონცა“, ერთდროულად სამ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. სპექტაკლი, რომელიც ბულგარულ-ქართული კოპროდუქციის შედეგია, ოზურგეთის თეატრში ბულგარულმა რეჟისორმა ნევენა მიტევამ განახორციელა. პროექტს საფუძველი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ვასილ ჩიგოვიძის ინიციატივით ჩაეყარა.

ბატონი ვასოს თქმით, 16 მაისს, ოზურგეთის თეატრი სწორედ სპექტაკლით „კონცა“ ახალი ბულგარული



დრამის ფესტივალის „შუმენი-2019“ მაცურებლის წინაშე წარსდგა. სპექტაკლი მაცურებლით გადაჭედდა დარბაზში მიმდინარეობდა, გულწრფელი ოვაციაც დაიმსახურა.

სპექტაკლი უზრუნველყოფილი იყო სუბტიტრებით ბულგარულ ენაზე. განსაკუთრებულად რეკლამირებული იყო საფესტივალო სპექტაკლები თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ფესტივალის ორგანიზატორია ბულგარეთის ქალაქ შუმენის დრამატულ-თოჯინური სახელმწიფო თეატრი „ვასილ დრუმიევი“. ფესტივალს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, მას საფუძველი 1993 წელს ჩაეყარა და უკვე 26-ე ფესტივალს მასპინძლობდა. ფესტივალის მიზანი თანამედროვე ბულგარული დრამატურგიის სცენური ინტერპრეტაციების ერთ სივრცეში ჩვენებაა. ოზურგეთის თეატრის სპექტაკლით „კონცა“ დაიხურა შუმენის საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალი არ ითვალისწინებს საზღვარ-გარეთის ქვეყნების თეატრების სპექტაკლების კონკურსში მონაწილეობას. ოზურგეთის თეატრს გადმოეცა დიპლომი ფესტივალში მონაწილეობისთვის.

იმავე დღეს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ოზურგეთისა და შუმენის თეატრებს, ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალსა და შუმენის ახალი ბულგარული დრამატურგიის ფესტივალს შორის. შუმენის ფესტივალს საქართველოსა და აზერბაიჯანში წარმოადგენს ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვასო ჩიგოვიძე, დუმბაძის ფესტივალის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ხოლო დუმბაძის ფესტივალს ბულგარეთში - შუმენის დრამატულ-თოჯინური თეატრის დირექტორი, შუმენის ფესტივალის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი დიმიტრი დიმიტროვი.

ფესტივალებსა და თეატრებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა და კოპროდუქციული სპექტაკლების შექმნა იგეგმება.

როგორც ვასო ჩიგოვიძემ აღნიშნა, ახალი ბულგარული დრამის ფესტივალის შემდეგ, ოზურგეთის თეატრის საფესტივალო ტურნეს შემდეგი პუნქტი იყო ქალაქი ვრაცა (ბულგარეთი). ამ პატარა საფესტივალო და კოლორიტულ ქალაქში ოზურგეთის თეატრმა მცირე დრამატული ფორმების საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.

სპექტაკლი „კონცა“ ვრაცის თეატრის სცენაზე 18 მაისს შედგა, ბულგარული მაცურებლისათვის სპექტაკლის ბულგარულ ენაზე სინქრონულ თარგმანს თვითონ რეჟისორი, ქალბატონი ნევენა მიტევა ასრულებდა.

„კონცამ“ ვრაცელი მაცურებლის გული და ჟიურის კეთილგანწყობა ერთიანად მოიგო.

ოზურგეთის თეატრის სპექტაკლმა ვრაცაში საერთაშორისო ფესტივალის ორი პრიზი მიიღო: ფესტივალის მთავარი პრიზი - „თანამედროვე ბულგარული დრამატურგიის საუკეთესო ინტერპრეტაცია“. მსახიობმა **თამარ მდინარაძემ** - „ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის“ სპექტაკლში „კონცა“ ბებიისა და გერმანელი ქალის როლების შესრულებისათვის.

ბულგარელმა მასპინძლებმა ჩვენი დელეგაცია მიიწვია შუმენში ქვეყნის 1300 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალის დასათვალისწინებლად შუმენის ბოტანიკურ ბაღში, ხოლო ვრაცაში მღვიმე „დელენიკა“ და მიმდებარე პარკი გაგვაცნეს.

უკრაინაში, მესამე ქალაქი, რომელმაც ოზურგეთის თეატრს უმასპინძლა, ხერსონი, რომელიც 17-26 მაისს XXI საერთაშორისო ფესტივალს „ტავრიის-მელპომენას“ მართავს. ამ პრესტიჟულ ფესტივალში 22 მაისს ოზურგეთის თეატრმა ანა პეტროვას „კონცა“ წარადგინა. სპექტაკლის რუსულენოვან სინქრონს უზრუნველყოფდა ქალბატონი მარია სლენინენა.

„ტავრიის მელპომენას“ საერთაშორისო ფესტივალმა მსახიობი **თამარ მდინარაძე** დააჯილდოვა ნომინაციით „ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის“.

22 მაისს, გვიან საღამოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა ხერსონისა და ოზურგეთის დრამატულ თეატრებს შორის, ასევე „ტავრიისმელპომენას“ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალსა და ოზურგეთის ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალს შორის. მხარეებს წარმოადგენდნენ ბატონები ვასილ ჩიგოვიძე და ალექსანდრ კნია, მიკოლი კულიშის სახელობის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, უკრაინის სახალხო არტისტი. ბატონმა კნიგამ ამ ფაქტის აღსანიშნავად ფურცელი გამართა, სადაც მოწვეული იყო სხვადასხ-

ვა ქვეყნის თეატრები. დასახა თანამშრომლობის პერსპექტივები. ბატონი კნია სიტყვებით, კულტურას უკეთ შეუძლია ხიდების შენება, ვიდრე დიპლომატიას.

ოზურგეთის სამხატვრო თეატრის დირექტორმა ვასილ ჩიგოვიძემ აქ თეატრებს შორის თამანშრომლობის ასპექტებზე ისაუბრა.

შემდეგ თეატრის საგასტროლო ტურნე გენიჩესკში გაგრძელდა.

**ვასო ჩიგოვიძე:** „ამ ქალაქს ოზურგეთთან აკავშირებს 1938 წელს დაწყებული მეგობრობა, რომელსაც სოფლების შრომისა და როვნოს ურთი-

ახსოვთ ეს მეგობრობა და მოხარული არიან მისი აღდგენის პერსპექტივის გაჩენის გამო.

გენიჩესკის დელეგაცია ხერსონში ჩვენს სპექტაკლს დაესწრო და გულთბილად დაგვიმშვიდობა.

შეხვედრა 23 მაისს, გენიჩესკის შესასვლელში დათვალა, სწორედ იმ მონუმენტთან, რომელიც ჩვენს მეგობრობას ეძღვნება.“

ბატონი ვასოს აზრით, თვით ის ფაქტი, რომ მათ თითქმის სამსაათიანი გზაგა მოიარეს ჩვენთან შესახვედრად, მეტყველებს გენიჩესკელების გულითად დამოკიდებულებაზე მეგობრობის

ერთობამ დაულო სათავე. ამ ურთიერთთანამშრომლობამ ომი და ბევრი სიღუპვით გამოიარა და ნახევარსაუკუნოვანი იუბილეც იზიმა.

წელს 81 წელი გავიდა ამ მეგობრობიდან, ბოლო პერიოდში ეს ურთიერთობა შესუსტდა, ერთმანეთს დავეპარეთ, ჩვენი თეატრი, დელეგაციის სახით, არის პირველი მერცხალი ამ ურთიერთობის განახლებისთვის და შევეცადეთ კვლავ აღდგეს ეს „გულთა კავშირი“, როგორც, ამ მეგობრობას ერთ-ერთი სულიწამდეგელი მიხაკო ორაგველიძე უწოდებდა.“

ბატონი ვასო ჩიგოვიძის ინიციატივა ოზურგეთელების და გენიჩესკელების, ხერსონისა და გურიის ტრადიციული მეგობრობის აღდგენის შესახებ უკრაინაში რეალური საქმეებით მყარდება:

„ხერსონში ოზურგეთის თეატრის სპექტაკლის დაწყებამდე გენიჩესკელების დელეგაცია გვეწვია. მათ შორის, იყვნენ გენიჩესკის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ანდრეი ევსტატოვი, რაიონული საბჭოს საქმეთა ხელმძღვანელი სერგეი კორეევი, გენიჩესკის კულტურის სახლის დირექტორი ალიონა ტიუტიუნკი. სტუმრებმა დიდი ინტერესით და სიამოვნებით მოისმინეს ჩემი ხედავა 1938 წელს დაწყებული მეგობრობის ტრადიციის აღდგენის შესახებ, გაეცნენ ჩვენს ბროშურას, რომელიც მეგობრობის ისტორიის შესახებ, მათი სიტყვებით, გენიჩესკშიც



ისტორიისა და მომავლის მიმართ: „გენიჩესკში გავმეზავრეთ დიდი იმედით და სიყვარულით. ამ ადამიანებმა გულში ჩავვიკრეს. ჩვენმა სპექტაკლმა გენიჩესკშიც დაიმსახურა მაცურებლის ოვაციები, როგორც ეს მოხდა ხერსონში, იმედი გვაქვს, ჩვენი ინიციატივაც კონკრეტული კავშირებითა და საქმიანობებით გაყარდება.

ფესტივალზე გამარჯვების სიხარულს არ ჩამოუვარდებოდა გენიჩესკელების საზეიმო დახვედრის რიტუალი ტრადიციული პურითა და მარილით, მისაღმებებით, კონცერტით ქართულთა და უკრაინელთა მეგობრობის მემორიალთან, ქალაქის დასაწინში, გენიჩესკელი მაცურებლის ემოსია, ქართველთა სათვისტომოს „საქართველოს გაუმარჯოს“, ქართული დროშით, სპექტაკლის წინ მასპინძლების გამოხსენებები, ჩვენი დელეგაციის თითო-პეული წევრის დასაჩუქრება და დიდი სითბო. - თქვა კონფერენციის დასასრულს ვასო ჩიგოვიძე.

**p.s. სვალ, 11 ივნისს, გურიანთის კულტურის სახლის სცენაზე ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი წარმოადგინს სამეტაპლს „ჯამთარი იზი...“**

რეჟისორი და მუსიკალური გამორბეული **კახა გოგიტი**.

### 7 დღის ამინდის პროგნოზი

<b>ღრუბლი</b> +19+30	<b>მზე, ღრუბლი</b> +18+30	<b>ელ-ჭამი</b> +17+24	<b>მცირე წვიმა</b> +17+26	<b>ელ-ჭამი</b> +16+23	<b>მზე, ღრუბლი</b> +16+25	<b>მზე, ღრუბლი</b> +17+28
10 ივნისი სამშაბათი	11 ივნისი სამშაბათი	12 ივნისი ოთხშაბათი	13 ივნისი ხუთშაბათი	14 ივნისი პარასკევი	15 ივნისი შაბათი	16 ივნისი კვირა